ლაშქრობის ერთი დღე „რაჩხაზე“

ტურისტული უნარ-ჩვევების გამომუშავება,დაბრკოლებების გადასალახავად მზადყოფნა,მოსწავლეთა და პედაგოგთა დაახლოება, სხვა და სხვა საკითხის მიმართ ინტერესის გაღვივება,სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება,აი ის თვისებები, რაც შეიძლება მოსწავლეებში ლაშქრობამ,ბუნებაში ერთობლივად,ჯგუფურად გასვლამ გამოიწვიოს.

მდინარე „რაჩხა''..ვინ არ მოხიბლულა ამ მდინარის სილამაზით.წყალტუბო-ცაგერის საავტომობილო გზის 38-ე კილომეტრზე,იქ სადაც მთლიანად მომდინარე ეს ქაფქაფა,რძისფერი მდინარე „ცხენისწყლის'' მღვრიე ტალღებს ჩაეხვეოდეს,მგზავრები გულგრილად ვერ უვლიან გვერდს და ავტომანქანიდან გადმოსულები,ხიდის მოაჯირიდან ხარბად შესცქერიან ამ სილამაზეს.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს,კერძოდ 2მაისს ისუნდერის საჯარო სკოლის (დირექტორი ზურაბ აკობიძე) მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მოეწყო ლაშქრობა ამ მდინარის სათავეში.პროექტის ავტორი და ლაშქრის წინამძღოლი თვით დირექტორი იყო.ზურგჩანთებში საჭირო ნივთებით,ლაშქრობისთვის შერჩეული საკვებით აღჭურვილმა მოზარდებმა პედაგოგებთან ერთად იქეთ აქეთ ფეხითგანვლეს 3 კილომეტრი მანძილი.გზადაგზა და ადგილზე მისვლისას ბავშვებმა მეტი ცოდნა შეიძინეს გასავლელი ტერიტორიის შესახებ-გაიგეს ის,რომ ლეჩხუმის მოსაზღვრე იმერეთის სოფელ გორდიდან სწორედ ამ გზით გადმოდიოდნენ დადიანები ცხენებით ლეჩხუმის მაშინდელ მაზრაში „კუთხის''მთის ძირში მისვლისას,სადაც მდინარე,“რაჩხა''გამოედინება მეტი ცოდნა მიიღეს მდინარის დინების მიმართულების ამინდის ცვალებადობის შესახებ,შეისწავლეს კედელივით აღმართული მთის სიმაღლე,რომელიც ზემოდან ადგას მდინარე,რაჩხას და ორი სოფლის-ისუნდერისა და მახურის სასაზღვრო ფერდობზე ულამაზეს ხეობას ქმნის.ბევრმა არც კი იცოდა, რომ შესართავთან სათავისკენ 800 მეტრის დაშორებით ულამაზეს ჩანჩქერს ქმნის,რომელიც ამ ცოტა ხნის წინ იქნა გამოჩენილი.

ტურისტული ინდუსტრია მძლავრად იკიდებს ფეხს ჩვენს ქვეყანაში.დარწმუნებული ვართ ესჩვენი ლამაზი,თეთრი,რძისფერი მდინარე თავისი სიმულიაციური თვისებებით,(რაც იმაში გამოიხატება, რომ დინების გარკვეულ მონაკვეთზე ქვესკვნელში ისე ჩაიკარგოს,თითქოს გაქრაო-ასეთი შთაბეჭდილება შეუქმნას მნახველს,რამდენიმე მეტრის შემდეგ,მისთვის ჩვეული ხმაურით გამოჩნდეს)ბევრ მნახველს დააინტერესებს.

ერთი სიტყვით სალაშქროდ და სამოგზაურო მრავლად აქვთ ჩვენს მოზარდებს,რომლებმაც აქვე დაანონსეს-ყოველი წლის 2 მაისი ერთდღიანი ლაშქრობის დღედ გამოცხადდეს სკოლაში.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ისუნდერის

საჯარო სკოლის მასწავლებელ ჯენი მანდარია